



მრგვალი მაგიდა - საქართველოს პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიის
მიმართ

კავკასიური სახლი

თბილისი

2014

კავკასიური სახლი

”კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი - კავკასიური სახლი”

არის კულტურული, საგანმანათლებლო და მშვიდობის მშენებლობაზე ორიენტირებული ორგანიზაცია, რომლის მიზანია შექმნას იდეოლოგიური და ინტელექტუალური პლატფორმა რეგიონული თანამშრომლობისა და მშვიდობიანი განვითარებისთვის კავკასიაში.

მრგვალი მაგიდა ჩატარდა პროექტის ქართულ-რუსული დიალოგი მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება დიდი ბრიტანეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით

დოკუმენტის შინაარსი გამოხატავს ავტორთა პირად მოსაზრებებს.

ტექსტი მოამზადა მარიამ გაჩეჩილაძემ.

სამუშაო ანგარიში №5

შინაარსი:

საქართველოს პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში	4
პოლიტიკის შემუშავება - პრობლემის ონტოლოგია და მიზნების განსაზღვრა	5
ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის კომპონენტები: აღქმები და შეფასებები	7
ჩრდილოკავკასიური პოლიტიკა, როგორც რუსეთთან ნორმალიზაციის კომპონენტი	9

კავკასიური სახლი

მიმდინარე წლის 3 ოქტომბერს “კავკასიურ სახლში” გაიმართა მრგვალი მაგიდა საქართველოს ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის შესახებ. ამჟამად, კავკასიური სახლი ატარებს კვლევას საქართველოს ჩრდილო კავკასიური პოლიტიკის შესახებ. კვლევის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები სამ ძირითად სამიზნე ჯგუფთან: ოფიციალური პირები, როგორც წინა, ისე მოქმედი ხელისუფლებიდან, ექსპერტები და ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები პირები.

შეხვედრაზე კვლევის ავტორებმა, ლევან კახიშვილმა და ტატო ხუნდაძემ აუდიტორიას გააცნეს კვლევის პროცესში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები და წინასწარი ჰიპოთეზები. ავტორებმა ისაუბრეს საქართველოს ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის იმ განსხვავებული შეფასებების შესახებ, რომლებიც კვლევის პროცესში გამოიკვეთა. მრგვალი მაგიდის მიზანს წარმოადგენდა დამსწრე აუდიტორიისგან მოსაზრებებისა და რეკომენდაციების მიღება.

საქართველოს პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში

2008 წლის ომი შემდეგ, საქართველომ დაიწყო სისტემური პოლიტიკის განხორციელება ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ. ეს პოლიტიკა რამდენიმე კომპონენტს შეიცავდა, მათ შორის: ვიზების გაუქმება ჩრდილოკავკასიელი ხალხებისთვის; (რაც მოგვიანებით გავრცელდა რუსეთის ყველა მოქალაქეზე), ჩერქეზთა გენოციდის აღიარება; კულტურული და საგანმანათლებლო ურთიერთობების გაძლიერება - სამაგისტრო პროგრამები ილიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩრდილო კავკასიელი სტუდენტებისთვის; ტელემაუწყებლობა „პიკის“ (პირველი კავკასიური) დაარსება.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ხსენებულმა პოლიტიკამ განიცადა ცვლილებები, მათგან რამდენიმე მიმართულებამ საერთოდაც შეწყვიტა არსებობა. პირველ ეტაპზე, ფინანსური პრობლემების გამო დაიხურა ტელეკომპანია „პიკი“, შემცირდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროექტების დაფინანსება, გახშირდა ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული ფაქტები. განსაკუთრებით სოჭის ოლიმპიადის წინა მოსამზადებელ პერიოდსა და

კავკასიური სახლი

უშუალოდ ოლიმპიადის პერიოდში საქართველოში არ უშვებდნენ რუსეთის იმ მოქალაქეებს, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ეთნოსებს.

პოლიტიკის შემუშავება - პრობლემის ონტოლოგია და მიზნების განსაზღვრა

რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესის პერსპექტივიდან ჩრდილოეთ კავკასიური პოლიტიკის გაანალიზება განსხვავებულ მოსაზრებებს ბადებს. დისკუსიის მონაწილეები ერთხმად აღნიშნავენ, რომ 2008-2012 წლებში არსებულ პოლიტიკას ახასიათებდა ბევრი ნაკლოვანება და ამ პოლიტიკის გადაზრებას სამომავლო სტრატეგიის შემუშავებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ლევან კახიშვილმა საკუთარ მოხსენებაში შეაჯამა თავად ამ სტრატეგიის ავტორების მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც, ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის დღისწესრიგში დაყენება განაპირობა 2008 წლის ომმა. სტრატეგიის ავტორები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ ჩრდილოკავკასიელი მოხალისეების მონაწილეობა ომში იყო ის ძირითადი მიზეზი, რის გამოც აუცილებელი გახდა ხსენებული პოლიტიკის განხორციელება. ამ პოლიტიკის გატარების შედეგად კი, ჩრდილოკავკასიის რეგიონში საქართველოს შესახებ უნდა შექმნილიყო დადებითი იმიჯი, რომელიც რუსული პროპაგანდის შედეგად განადგურდა. ეს ყველაფერი გრძელვადიან პერსპექტივაში აგვარიდებდა მათ ხელახალ მონაწილეობას შესაძლო კონფლიქტში. სხვათა მოსაზრებით, ამ პოლიტიკით რუსეთსა და საქართველოს შორის უნდა შექმნილიყო ბუფერული ზონა ჩრდილოკავკასიის რეგიონის სახით.

ლევან კახიშვილის აზრით, „2012 წლამდე არსებული პოლიტიკის კრიტიკის მთავარ საგანს წარმოადგენს ის, რომ მისმა შემქმნელებმა არასწორად შეაფასეს რეალობა და განსაზღვრეს პრობლემა“. ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონს აღიქვამდნენ რუსეთის ფედერაციისგან იზოლირებულად - „მართალია საქართველო არასდროს არ უჭერდა მხარს ჩრდილოკავკასიურ სეპარატიზმს, მაგრამ ისიც მართალია, რომ საქართველო ღიად არასდროს არ აცხადებდა რეგიონთან მიმართებაში არსებულ რაიმე დოკუმენტში, რომ ჩრდილოკავკასია არის რუსეთის ნაწილი“. - აღნიშნავს ლევან კახიშვილი. გარდა ამისა, ის

კავკასიური სახლი

უთითებს იმ გარემოებაზეც, რომ ჩრდილოკავკასიელთა მონაწილეობა საქართველოს წინააღმდეგ კონფლიქტში 2008 წლის მოვლენა არ არის და ამ პრაქტიკას ჯერ კიდევ 90 იანი წლებში ვხედავთ.

როგორც მკვლევარები, ისე ექსპერტები იზიარებენ იმ მოსაზრებას, რომ საქართველოს მიერ ბუფერული ზონის შექმნის იდეა „მოკლებულია ყოველგვარ რაციონალურ განსჯას“, სულ მცირე ორი მიზეზის გამო. პირველი, ერთ-ერთი მონაწილის აზრით, ბუფერული ზონა შესაძლებელია შეიქმნას მხოლოდ ორ დიდ და ძლიერ სახელმწიფოს შორის და მეორე, თუ იდეა მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთმა რაც შეიძლება ნაკლებად აკონტროლოს ეს რეგიონი და ჰქონდეს იმაზე მეტი პრობლემა ვიდრე მას დღეს აქვს, რა შედეგს მოუტანს ეს საქართველოს? ექსპერტების აზრით, აქ უგულვებელყოფილია რეგიონში ისლამის რადიკალიზაციის საფრთხე, რაც საქართველოზეც აისახება. „ზოგადად რომ წარმოვიდგინოთ სიტუაცია, სადაც რუსეთის ფედერაცია კარგავს კონტროლს ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონზე იქ არსებული შიდა კონფლიქტების გამო, ჩვენ მივიღებთ ალბათ ახალ ავღანეთს.“ - შენიშნავს ერთ-ერთი ექსპერტი.

დისკუსიის პროცესში გამოვლინდა, რომ ყოველგვარი სტრატეგია, იქნება ეს სტრუქტურულად თუ ტექნიკურად კარგად გათვლილი და დაგეგმილი, შეუძლებელია იყოს ეფექტური, თუ არ მოხდა ფუნდამენტური პრობლემის განსაზღვრა. ლევან კახიშვილის აზრით, ხსენებული პოლიტიკა ეფუძნებოდა იმის დაშვებას, რომ კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის არის გარდაუვალი მოცემულობა და ჩრდილოკავკასია საქართველოსთვის წარმოადგენს ერთგვარ რესურსს, ამ კონფლიქტში დაწინაურების თვალსაზრისით. „შესაბამისად ჩნდება შთაბეჭდილება, რომ საქართველო რაღაც პრობლემის გვერდით ეფექტებს ებრძვის და არა უშუალოდ პრობლემის საფუძველს, რომლის წინაშეც ჩვენ ვიდევით“, განმარტავს მკვლევარი და პრობლემას სწორედ რუსეთთან კონფლიქტური ურთიერთობების მოუგვარებლობაში ხედავს .

კავკასიური სახლი

ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის კომპონენტები: აღქმები და შეფასებები

ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის ცალკეული კომპონენტების შეფასებისას ჩრდილოკავკასიის რეგიონის წარმომადგენლებს შორის განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს ტელეკომპანია პიკსა და საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულები ამ უკანასკნელს დადებითად აფასებენ. ერთ-ერთი სტუდენტის აზრით „ ეს პროგრამა იყო ევროპული სტანდარტების, ისწავლებოდა ევროპული მეთოდებით, ლიტერატურა იყო საკმაოდ მრავალფეროვანი და ხელმისაწვდომი“. თუმცა არსებობდა დიპლომების აღიარებასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც დიპლომების პრაქტიკულ გამოყენებას უკავშირდება. ამასთან აღსანიშნავია ერთ-ერთი დადესტნელი რესპოდენტის მოსაზრება, რომ „არ აქვს მნიშვნელობა გაქვს თუ არა დიპლომი, მთავარია ვინმე გყავდეს ვინც მოგაწყობს სამსახურში“.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ უყურებდნენ რუსეთის მმართველ წრეებში აღნიშნულ პროგრამას, ერთ-ერთი რესპოდენტის განცხადებით, კრემლის მიერ მოწოდებული ისტორიისგან განსხვავებული, ალტერნატიული ისტორიის სწავლება ერთადერთი იყო, რაც მათში გაღიზიანებს იწვევდა. „რუსი ექსპერტის აზრით, მთავარ პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ ილიას უნივერსიტეტში პროპაგანდას ეწეოდნენ და ცდილობდნენ რუსეთის წარმოდგენას როგორც იმპერიის, რომელიც ცდილობს ჩრდილო კავკასიელი ხალხების განადგურებას“ - ტატო ხუნდაძე ციტირებს რუსი ექსპერტის აზრს.

კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ ჩრდილოკავკასიის რეგიონში მოსახლეობა აშკარად განიცდის ალტერნატიული საინფორმაციო არხების დეფიციტს, თუმცა რესპოდენტთა უმრავლესობა პიკზე საუბრისას უთითებს გარკვეულ პროპაგანდისტულ ელემენტებზე. „რესპოდენტების თქმით, პიკი იყო ცალსახად პროპაგანდისტული არხი, სადაც მიდიოდა ქართული პროპაგანდა და ისინი ხშირად გამოხატავდნენ უკმაყოფილებას, რომ პიკი აშუქებდა ჩრდილო კავკასიაში მხოლოდ ნეგატიურ ინფორმაციას“ - აღნიშნავს ტატო ხუნდაძე. გარდა ამისა, იყო მაუწყებლობასთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემებიც.

კავკასიური სახლი

დისკუსიის მონაწილეები თანხმდებიან საგანმანათლებლო პროგრამებისა და კულტურული ურთიერთობების აუცილებლობაზე - „გარკვეული კონტაქტები დამყარდა, როგორც ჩერქეზულ დიასპორასთან, ისე ზოგადად კავკასიურ დიასპორებთან და ეს კონტაქტები არ უნდა დაიკარგოს, სამწუხაროდ ეხლა ვხედავ რომ კონტაქტები იკარგება, რაც მე ვფიქრობ რომ არასწორია“ - შენიშნავს ერთ-ერთი ექსპერტი. ამასთან უმრავლესობა თანხმდება, რომ ყოველგვარი კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიება დაცლილი უნდა იყოს პოლიტიკური შეფერილობისგან, მათი განხორციელება პოლიტიკის მიღმაც შესაძლებელია, სხვადასხვა აქტივობების წახალისების მეშვეობით.

ექსპერტთა უმრავლესობა სამაუწყებლო კომპანია პიკის არსებობას სკეპტიკურად უყურებს, რაც უკავშირდება რამდენიმე ფაქტოს. პირველი, რაზეც მონაწილეები უთითებენ არის ის, რომ შეუძლებელია სახელმწიფო რესურსებით ისეთი ტელევიზიის შექმნა, რომელიც იქნება ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი. გარდა ამისა, ის თანხა, რაც ორი წლის განმავლობაში პიკის არსებობას მოხმარდა არაადეკვატურია მის მიზანთან - „არის თუ არა ეს გამართლებული ჩვენი რესურსებიდან გამომდინარე? 45 მილიონი აღწევს თუ არა იმ მიზანს, რომელიც მაშინ გვქონდა დასახული, ეს მიზანი იყო დესტრუქციული, მაშინ, როდესაც უფრო კონსტრუქციულ ურთიერთობებსა და საერთო ენის გამონახვაზე უნდა ვიყოთ ორიენტირებულები“ - აღნიშნავს ერთ-ერთი ექსპერტი.

სხვა მონაწილის აზრით, აუცილებელია არსებობდეს რუსულენოვანი არხი, რომელიც ორიენტირებული იქნება როგორც ჩრდილოკავკასიის მოსახლეობაზე, ისე საქართველოს რუსულენოვან მოსახლეობაზე.

უვიზო რეჟიმის შემოღება წარმოადგენს იმ ძირითად კომპონენტს, რომელსაც როგორც ქართველი ექსპერტები, ისე ჩრდილოკავკასიის რეგიონის წამომადგენლები ერთხმად დადებითად აფასებენ. რეგიონის მცხოვრებ მოსახლეობას საშუალება მიეცა ემოგზაურა და გაცნობოდა საქართველოში მომხდარ ცვლილებებს, დაემყარებინა ეკონომიკური კავშირები და დაენახა ის კონტრასტი, რაც ამ ორ რეგიონს - საქართველოსა და ჩრდილოკავკასიას შორის არსებობს.

რაც შეეხება ჩერქეზთა გენოციდის აღიარებას, საკმაოდ ბუნდოვანია თუ როგორ აღიქვა ეს გადაწყვეტილება ჩერქეზულმა საზოგადოებამ. ამის მიზეზად ტატო

კავკასიური სახლი

ხუნდაძე ასახელებს იმას, რომ ჩერქეზეთში არ არსებობს საზოგადოებრივი სივრცე, სადაც შესაძლებელია მოქალაქეთა აზრის არტიკულირება. თუმცა ამავდროულად დასძენს, რომ ერთ-ერთი რესპოდენტის მოსაზრებით, ადგილობრივ დონეზე, ჩერქეზული საზოგადოება საკმაოდ დადებითად შეხვდა ამ ინიციატივას. ამასთანავე, ზოგი რესპოდენტი აღნიშნავს, რომ საზოგადოების ნაწილს კარგად ესმის, რომ ჩერქეზთა გენოციდის საკითხს საქართველოს ხელისუფლება რუსეთის წინააღმდეგ პოლიტიკის იარაღად იყენებდა.

დისკუსიის პროცესში გამოიკვეთა კრიტიკული შეხედულებაც, რომლის მიხედვითაც, ჩრდილოკავკასიური პოლიტიკა ცალსახად რეაქციულ ხასიათს ატარებდა. ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, ამ პოლიტიკის კომპონენტები ხორციელდებოდა რუსეთის მიერ გადადგმული ნაბიჯების საპასუხოდ. მაგალითად - სავიზო რეჟიმის გაუქმება ჩრდილოეთ კავკასიის სუბიექტებისათვის იყო რეაქცია რუსეთის მიერ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღებაზე, ჩერქეზთა გენოციდის აღიარებას წინ უსწრებდა რუსულ და ოსურ საზოგადოებებში ოსეთის გენოციდის თემის წამოწევა, პიკის შექმნა წარმოადგენდა რუსულ მედიაში ანტიქართულ პროპაგანდაზე პასუხს - „რუსეთი შენს წინააღმდეგ სულ ეწეოდა ანტიპროპაგანდას და შენც შექმენი ესეთი პროპაგანდისტული მანქანა, რასაც პიკი დაარქვი.“ - შენიშნავს დისკუსიის მონაწილე.

ჩრდილოკავკასიური პოლიტიკა, როგორც რუსეთთან ნორმალიზაციის კომპონენტი

მრგვალი მაგიდის დისკუსიის ფორმატში მკვლევარებმა ექსპერტებთან ერთად იმსჯელეს იმ საკითხზეც, თუ რას უნდა ეფუძნებოდეს და როგორი უნდა იყოს საქართველოს სამომავლო სტრატეგია ჩრდილოკავკასიის სუბიექტების მიმართ. აქვე განიხილეს ის ცვლილებები, რაც 2012 წლის არჩევნების შემდეგ მოხდა. კითხვა, აქვს თუ არა დღევანდელ ხელისუფლებას რაიმე სახის პოლიტიკა ამ მიმართულებით, ექსპერტებს შორის აზრთა სხვადასხვაობას ჰხადებს. ზოგი მათგანი აღნიშნავს, რომ პოლიტიკა საერთოდ აღარ არსებობს, ზოგიც ხელისუფლების მხრიდან სისტემური მიდგომის არარსებობას ფრთხილი დამოკიდებულებით ხსნის და ამ უკანასკნელსაც პოლიტიკის რანგში განიხილავს.

კავკასიური სახლი

აქვე გაისმა კითხვა, რამდენად შესაძლებელია ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის განხორციელება რუსეთთან ნორმალიზაციის პროცესის პარალელურად. როგორც დისკუსიაში გამოვლინდა, ექსპერტებს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ თავად ნორმალიზაციის პროცესის მიმართ. ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, ამ მხრივ „ამბივალენტური სურათი გვაქვს. ერთი მხრივ, რაღაც პერიოდი თავდაცვის სამინისტროდან ვისმენთ განცხადებას საქართველოში თავდაცვითი რაკეტების განთავსების შესახებ, მეორე მხრივ, ამას სწრაფად უარყოფს პრემიერ-მინისტრი.“ - აღნიშნავს ერთ-ერთი ექსპერტი და დასძენს რომ აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობების ერთიანი, კონსტრუქციული და თანმიმდევრული ხედვის შექმნა, რაც დაეფუძნება „მტრის ხატის დეკონსტრუქციასა“ და უფრო პრაგმატულ გათვლებს.

ექსპერტთა აზრი გაიყო იმის თაობაზე, თუ რამდენად შესაძლებელია ჩრდილოკავკასიური პოლიტიკა წარმოადგენდეს ქართულ-რუსული ურთიერთობების კომპონენტს ურთიერთობათა ნორმალიზაციის ფარგლებში. ექსპერტთა ნაწილმა ხაზი გაუსვა საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ საერთო გამოწვევებს, საუბარია რადიკალური ისლამის გავრცელებაზე, რომელსაც ერთ-ერთი ექსპერტი განიხილავს როგორც „დიდ გამოწვევად საქართველოსთვის“ სხვადასხვა ქვეყნებში ისლამური სახელმწიფოს მიმდევრების მობილიზაციის ფონზე.

დისკუსიის ბოლოს ექსპერტთა უმრავლესობამ ყურადღება გაამახვილა თანამედროვე პერიოდში ჩრდილოკავკასიური მიმართულებით ინტელექტუალური და აკადემიური ცოდნის ნაკლებობაზე. ადამიანური კაპიტალის გარეშე შეუძლებელია რაიმე პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება - „პრობლემაა ის, რომ არ არსებობს პრაქტიკულად აკადემიური რესურსი, რომელიც გასცემს პასუხს კითხვაზე, თუ რა არის კავკასია“ - აღნიშნავს ერთ-ერთი ექსპერტი და ამასთანავე, ყურადღებას ამახვილებს კავკასიის მიმართულებით ექსპერტების ახალი თაობის გაზრდის საჭიროებაზე.



კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი - კავკასიური სახლი

თბილისი, 0105, გალაქტიონ ტაბიძის 20

ტელ.: (+995 32) 2 99-72-61/ 2 98-83-39/ 2 93-62-93

ფაქსი: (+995 32) 2 99-72-61

E-mail: info@caucasianhouse.ge
